



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დოკუმენტი
(ტექსტი)
№11-12 (385-386)
(5774)
2013

„מנורה“
עיתון יהודי
בגורגיה



იხ. მე-2 გვერდი

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ გვერდებზე WWW.MENORA.GE

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი: ებრაელი ძმების სისწრაფის ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე იზიარებს

4 დეკემბერს თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საკრებულოს (ადრინდელი მერიის) შენობის წინ ხანუქის დამაგვირგვინებელი ბოლო სანთლის ანთების ცერემონიალი გაიმართა. ხანუქის თაობაზე – სინათლისა და უკუნის დაპირისპირებაზე ისაუბრა რაბინმა ბენცეონ ისრაელაშვილმა, ისრაელის ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა უწრადღება გაამსახილა მრავალსაუკუნოვან ქართულ-ებრაულ ურთიერთობაზე. დღესასწაულის დამაგვირგვინებელი დღის მთავარი და ღირსეული სტუმარი განსაზღვრულად საქართველოს

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. გიორგი მარგველაშვილმა სანთელი აანთა და ებრაელ ხალხს დღესასწაული კიდევ ერთხელ მიულოცა. ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მცხოვრებ ებრაელებს რელიგიის, ტრადიციების, კულტურის დაცვასა და განვითარებაში თანადგომასაც დაჰბირდა. „ებრაელი ძმების სისწრაფის ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქე იზიარებს. მეც სულითა და გულით გილოცავთ ამ შესანიშნავ დღეს და უკურთღებო თქვენს წყიშს“,

- განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. გიორგი მარგველაშვილმა სანთელში გაანთა თარებისა და აღმშენებლობის პროცესში ქართველი ებრაელების ფასდაუდებელი როლიც ისაუბრა. მან ის ებრაელი თანამემამულეებიც გაიხსენა, რომლებიც ისტორიულ სამშობლოში - ისრაელში დაბრუნდნენ და აღნიშნა, რომ მათთვის „საქართველო ისეთივე სამშობლოა, როგორც ისრაელი“.

ქართველ მუსლიმთა კავშირი ხანუქის დღესასწაულზე მომხდარ ფაქტს გმობს

ქართველი მუსლიმები ეხმიანებიან 4 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე ხანუქის დღესასწაულთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტს, განცხადებებს მუსლიმთა კავშირის ხელმძღვანელი ტარიელ ნაკაიძე აქვეყნებს, რომელსაც უცვლელად გათავაზობთ: „ქართველი მუსლიმები ვგმობთ 4 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე ხანუქის დღესასწაულთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც დაარბიეს ამ დღესასწაულისთვის დამონტაჟებული ტრიბუნა და ჩამოხიეს პლაკატები. ასევე გამოვხატავთ ჩვენს შეშფოთებას იმ სასულიერო პირების ქმედებების გამო, რომელიც საქართველოს მოქალაქეების თუნდაც ერთ ნაწილს უბიძგებს განსხვავებული მრწამსისა და შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ სიძულვილისაკენ. სამწუხაროდ, ბოლო დროს სისტემატური გახდა ასეთი ქმედებები სოფელ ჭელაში მუსლიმების მიმართ, ხოლო დედაქალაქში საქართველოს მკვიდრი ებრაელი ხალხის მიმართ. მიგვაჩნია რომ, საქართველოში ყველა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობის უფლებები თანაბრად უნდა იყოს დაცული. გვსურს ვიქონიოთ იმედი, რომ, ამ ინციდენტს ექნება სწორი სამართლებრივი შეფასება და ეს ინციდენტი უარყოფითად არ იმოქმედებს საზოგადოებაზე, რომელსაც სწორად ესმის საქართველოს ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მნიშვნელობის შესახებ“, - ნათქვამია

<http://www.netgazeti.ge/>

ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის განცხადება ხანუქის დღესასწაულზე ინციდენტის თაობაზე

საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია გმობს 4 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე ხანუქის დღესასწაულთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტს, რომლის დროსაც დაარბიეს ამ დღესასწაულისთვის საგანგებოდ დამონტაჟებული ტრიბუნა და ჩამოხიეს პლაკატები. „მიგვაჩნია, რომ საქართველოში ყველა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობის უფლებები თანაბრად უნდა იყოს დაცული. მაშინ, როდესაც ჩვენი ერი ებრაელ ხალხთან მეგობრობის 26-საუკუნოვან მეგობრობას უსვამს ხაზს და ამყობს იმით, რომ საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი ანტისემიტისმსა და ანტიიუდაიზმს, მომხდარი ფაქტი საპირისპიროს მეტყველებს. ეს არის ანტისემიტისმის გამოვლინება, რის გამოც ღრმა შეშფოთებას გამოვთქვამთ. ქრისტიანები დავალებული ვართ ებრაელი ერის და მათი რელიგიისგან. იუდაური კულტურისა და რელიგიის ნიაღში ჩაისახა ქრისტიანობა. ებრაელმა ერმა მსოფლიოს აჩუქა ბიბლია და ის მორალურ-ზნეობრივი ფასეულობები, რაზეც დღეს თანამედროვე ცივილიზებული სამყარო დგას. ებრაელი ერიდან გამოვიდა მაცხოვარი იესო ქრისტე, რომელიც უდიდეს სიყვარულს ავლენდა ისრაელიანების მიმართ. ჭეშმარიტი ქრისტიანობა არ არსებობს ნებისმიერი ერისა და რელიგიის, მით უმეტეს ებრაელი ერის და იუდაიზმის პატივისცემის გარეშე. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ინციდენტი უარყოფითად არ იმოქმედებს საზოგადოებაზე, რომელსაც სწორად ესმის ებრაელ ხალხთან მეგობრობის არსი“, - ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია ავრცელებს.

<http://www.netgazeti.ge/>

ხანუქის დღესასწაულზე პლაკატების ჩამოხევისთვის ორი პირი დააკავეს

თავისუფლების მოედანზე, სადაც დღეს ხანუქის დღესასწაულის ბოლო დღე აღინიშნება, ორმა მოქალაქემ პლაკატები ჩამოხია და დამონტაჟებული ტრიბუნა დააზიანა. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, დაკავებულია ორი პირი: „დაკავებულია ორი პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე, ხულიგნობის ბრალდებით“, - აცხადებენ შსს-ში. 166-ე მუხლი, ნვრილმანი ხულიგნობა, კოდექსის მიხედვით გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ან- თუ საქმის გარემოებათა და დამრღვევი პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული, - ადმინისტრაციულ პატიმრობას 90 დღემდე ვადით. გარდა დაკავებულებისა ადგილზე იმყოფებიან სხვა პირებიც, დაახლოებით 20-მდე ადამიანი. ისინი აცხადებენ, რომ მართლმადიდებლები დღეს ღვთისმშობლობის დღესასწაულს აღნიშნავენ და ხანუქის დღესასწაულის აღნიშვნა მათთვის შეურაცხმყოფელია. მათი თქმით, სწორედ ამ მიზეზით მათ უნდოდათ კონცერტის ჩაშლა და პლაკატის ჩამოხევა, რომელზეც არის წარწერა „ებრაული თემი გისურვებთ მხიარულ ხანუქას“, თუმცა, პოლიციამ მათ ხელი შეუშალა.

<http://www.netgazeti.ge/>

ზოტკოველი თაყვანობას უწოდებს შიკარხიანს ანტისემიტურ აქციაზე მღვდელის მონაწილეობის შესახებ

რა პოზიცია აქვს საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო პირების მონაწილეობით ებრაული დღესასწაულის ჩაშლის მცდელობასთან დაკავშირებით, რასაც გუშინ ჰქონდა ადგილი თბილისში? - „ნეტგაზეთი“ პატრიარქის მდივანს, მიქაელ ზოტკოველს დაუკავშირდა. „თავისუფლების მოედანზე რა ხდებოდა, არ ვიცი მე. დაკითხვაზე ვარ, თუ რა? თავხედობას თავი დაანებეთ! მღვდელი რომ გეუბნებათ, არ ვიციო, უნდა დაიჯეროთ. პირველად მესმის. გეუბნებით, რომ არ ვიცი და კარგად რომ ჩამეკითხები, კარგად გაგცემ პასუხს? დავბრუნდი ამ დილას თბილისში, ახლა მოგიყვებ სად მიყავი?“ - ასეთი პასუხი გაგვცა პატრიარქის მდივანმა მიქაელ ზოტკოველმა, როდესაც მივმართე შეკითხვით - რა პოზიცია აქვს საპატრიარქოს და ემიჯნება თუ არა ის სასულიერო პირების მიერ ანტისემიტისმის გამოვლენას. გუშინ, 4 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე, სადაც ებრაული დღესასწაულის, ხანუქის ბოლო დღე ებრაელებმა და მრავალფეროვნების მხარდამჭერებმა კონცერტით აღნიშნეს, მოქალაქეების ჯგუფმა, მათ შორის სასულიერო პირებმა, პროტესტი გამოხატეს. მათი განცხადებით, პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის ებრაულ დღესასწაულზე მისვლა და ებრაელი ხალხისთვის მილოცვა შეურაცხყოფას აყენებს მართლმადიდებლებს.

<http://www.netgazeti.ge/>

Авидгор Эскин: Это первый антиеврейский инцидент в Грузии
По оценке израильского политолога и публициста Авидгора Эскина, произошедшая 4 декабря в Тбилиси хулиганская выходка небольшой группы фанатиков-антисемитов была первым серьезным антиеврейским инцидентом после обретения Грузией независимости. Как отметил Авидгор Эскин, сложно поверить, что за этой постыдной попыткой оскорбить древнейшую израильскую традицию, стоят люди Грузинской православной церкви, поскольку она всегда отличалась самой теплой демократичностью в отношении к еврейским согражданам. „Более того, лежащая в основе праздника Хануки Книга Маккавеев является для православных священной и канонической. И православные Грузии знают слова Бога Аврааму: „И благословлю Я благословляющих тебя, а проклинающего - прокляну“. Причину надо искать в близких контактах между одним из зачинщиков акции вандализма с российским криптоисламистским журналистом Максимом Шевченко, который недавно побывал в Грузии. Одной из главных его тем была всегда пропаганда уничтожения Израиля. Но в этой связи надо напомнить нашим грузинским друзьям, что этот же журналист совсем недавно говорил о Грузии, как о пятне на карте, подлежащем вычищению. Те, кто пытаются помешать дружбе и союзничеству между Грузией и Израилем - это враги Грузии. Это те люди, которые хотят, чтобы страна снова начала стонать под сапогами оккупантов и чтобы иностранные оккупанты снова торговали грузинскими девами, как рабынями. Но замыслы этих нечестивцев не осуществляются. А Израиль и Грузия покажут всему миру пример дружбы и любви между двумя народами. Viva Saqartvelo!“
Напомним, что на проведенном в среду на площади Свободы мероприятии, посвященном празднику Хануки, присутствовали проживающие в Грузии евреи, посол Израиля Юваль Фукс, раввин Бенцион Исраелашвили и раввин Мэр Козловский. К собравшимся обратился с речью посол Израиля Юваль Фукс. Президент Грузии Георгий Маргвелашвили зажег на площади Свободы свечу. В среду же, на площади Свободы несколько граждан выступили против празднования Хануки. Они считают, что праздник Хануки оскорбляет православие. Два гражданина сорвали плакаты и повредили установленную трибуну. В связи с этим правоохранители задержали двух лиц, которые в четверг были оштрафованы Тбилиским городским судом на 100 лари (около 70 долларов).

იუვალ ფუქსი: ხანუქის ინციდენტი გამონაკლისად ქართული საზოგადოებრივობისათვის

— ბატონო ელჩო, საუბარი დაიწყოთ სავიზო რეჟიმის გაუქმების თემით, რომელიც საქართველოსა და ისრაელის ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისად და დიპლომატიურ წარმატებად შეფასდა საქართველოში, თუმცა ჯერაც უცნობია უვიზო რეჟიმის ამოქმედების ზუსტი ვადა. რა პროცედურებია გასაველი გადანაცვლების ძალაში საბოლოო შესვლამდე და როდის იქნება შესაძლებელი ქართველი ტურისტებისთვის ისრაელში უვიზოდ სტუმრობა?

— სავიზო რეჟიმის გაუქმება იყო შედეგი იმ პროცესების ხანგრძლივი განვითარებისა და ურთიერთობისა, რომელიც ახლა არ დაწყებულია. ჩვენ რამდენიმე წლის განმავლობაში ვთანამშრომლობთ საქართველოს მთავრობასთან. მოგეხსენებათ, ამ წლის მარტში ხელი მოეწერა სავიზო რეჟიმის გაუქმების გადაწყვეტილებას დიპლომატიებისა და შესაბამისი სამსახურებრივი პასპორტების მქონე ადამიანებისთვის. ეს საკითხი კიდევ ერთხელ დადგა დღის წესრიგში ექს-პრემიერის, ივანიშვილის ისრაელში ვიზიტის დროს, ოღონდ ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ვიზების გაუქმებას არა კონკრეტული სამსახურებრივი პასპორტების მქონე პირებისთვის, არამედ ტურისტებისთვის, რომელთაც საქართველოდან ისრაელში სტუმრობის სურვილი აქვთ. ამის შემდეგ საკმაოდ დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა სამუშაოები და საბოლოოდ ხელი მოეწერა ამ დოკუმენტს. ეს არის ამ საკითხის ისტორია.

რაც შეეხება მომავალს, იმისათვის, რომ ეს შეთანხმება შევიდეს ძალაში, უნდა მოხდეს მისი რატიფიკაცია საქართველოსა და ისრაელის პარლამენტებში. შეთანხმების მიხედვით, ორივე ქვეყანაში რატიფიკაციის დასრულების დღიდან 90 დღის განმავლობაში მოხდება სავიზო რეჟიმის საბოლოოდ გაუქმება. მე არ შემიძლია ზუსტად დავისახელოთ ვიზების გაუქმების თარიღი იმდენად, რამდენადაც არავინ იცის, როდის დასრულდება რატიფიკაციის პროცესი, თუმცა რეალისტური კალკულაციით შემიძლია გითხრა, რომ ალბათ რამდენიმე თვე იქნება საჭირო.

კი, ვსაუბრობთ იმ წარმატებაზე, რაც ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებში გახდა შესაძლებელი გადაადგილების გამარტივების თვალსაზრისით, თუმცა, ამ ურთიერთობაში ერთგვარი ახალი გამოწვევაა განხილვა, რასაც ადგილი არ ჰქონია წინა ხელისუფლებების დროს, ვგულისხმობ, ხანუქას დღესასწაულზე რელიგიური ნიშნით მომხდარ ინციდენტს, რომელშიც რამდენიმე მართლმადიდებელი სასულიერო პირი და მრევლი მონაწილეობდა.

რა თქმა უნდა, ეს არის გამოწვევა, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს რომელიმე მთავრობასთან არის დაკავშირებული. ჩემი ქართველი ებრაელი მეგობრები ვერ იხსენებენ ასეთ შემთხვევას, რასაც ადგილი ჰქონდა თბილისში ამ ინციდენტის დროს. ისინი ამბობენ, რომ არა, მაგალითად, 20 წლის, არამედ 60 და 70 წლის განმავლობაში ეგეთი რამ არ მომხდარა. რა თქმა უნდა, ისინი არ არიან იმდენად ასაკოვნები, რომ 2000 წლის განმავლობაში მომხდარი ფაქტები გაიხსენონ, თუმცა რაც მათ იცინ, ისტორიის განმავლობაში ასეთი რამ არ მომხდარა. დიას, რამდენიმე არის გამოწვევა, მაგრამ შესაძლებელია ეს გამოწვევა ახალი არ იყოს, თუმცა ის ფაქტი, რომ ასეთი ინციდენტი მოხდა, ნამდვილად ახალია.

ძალიან ვაფასებ საქართველოს პრეზიდენტის, ბატონი მარგველაშვილის ყოფნას თავისუფლების მოედანზე იმ საღამოს. მარგველაშვილმა თქვა, რომ მთავრობა და პრეზიდენტი ყოველთვის უზრუნველყოფს იმას, რომ ებრაელებმა თავისი დღესასწაულების აღნიშვნა მოახერხონ საქართველოში. მე ვფიქრობ, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მესიჯი იყო პრეზიდენტისაგან.

რაც შეეხება უშუალოდ ინციდენტს, უნდა განვიხილოთ მისი ორი განზომილება და პირველი რიგში, ძალიან მნიშვნელოვანია მოქმედება. მოგეხსენებათ, ორი ადამიანი დააკავეს და ჯარიმა დაუწესდათ მათ მოგვიანებით. იმ საღამოს, როდესაც ხალხი იკრიბებოდა აქ, საელჩოსთან, მე ამას დემონსტრაციას ვერ დავარქმევ, ზოგიერთი მღვდელი და არ ვიცი კიდევ ვინ, მე ვხვდები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და მან დამარწმუნა, რომ მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, რათა დაიცვას რელიგიის თავისუფლება. მე მას ვენდობი.

მეორე განზომილება არის ის, რომ თვითონ



ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი „ნეტ-გაწიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სავიზო რეჟიმის საკითხზე, ხანუქას დღესასწაულზე მომხდარ ინციდენტზე, ისრაელსა და საქართველოს შორის ეკონომიკურ და სამხედრო თანამშრომლობაზე, ასევე, ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე საუბრობს, ისრაელიდან ნაუფიქროსების სამართავი კოდექსის რუსეთის ხელში აღმოჩენასთან დაკავშირებით:

საზოგადოებისგან უნდა მოჰყვეს ამ ფაქტს რეაგირება, იქნება ეს NGO-ები, თუ ეკლესია. ამ განზომილებას განათლება ჰქვია. ადამიანებმა უნდა იცოდნენ უფრო მეტი იუდაიზმის შესახებ, ებრაული თემის შესახებ საქართველოში და ისრაელის შესახებ. არ არის აუცილებელი, რომ ეს 3 რაღაც, რაც ჩამოგითვალეთ, ერთი და იგივე იყოს, ანუ შესაძლებელია ადამიანი იყოს იუდეველი და არ ცხოვრობდეს ისრაელში, შეიძლება ადამიანი ცხოვრობდეს ისრაელში და არ იყოს ებრაელი, ანუ ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა არ აქვს ამ ტერმინებს. რაც შეეხება საელჩოს როლს ამ განათლების საკითხში, იგი მაქსიმალურად დაუდგება მხარში ნებისმიერ წამოწყებას ამ კუთხით, თუმცა ეს საკითხი მოგვარებული უნდა იყოს საზოგადოების და არა საელჩოს მიერ. ეს ქართული საზოგადოებისთვისაა გამონაკისად.

— როდესაც სამართალდამცავი უწყებების განზომილებაზე ვსაუბრობთ, თქვენ კი თქვით, რომ ორი ადამიანი დააკავეს და დააჯარიმეს, თუმცა მათი ბრალი დაედოთ წერილობრივად და არა რელიგიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულში, რაც უფრო მძიმე მუხლია, ადეკვატური იყო ამ სტრუქტურების მოქმედება მოცემულ შემთხვევაში?

— მე არ შემიძლია მართლმსაჯულების სისტემის კომპეტენციაში ჩარევა, არც მაქვს ამის უფლება და ამას არ გავაკეთებ. ვერაფერს ვიტყვი ამასთან დაკავშირებით. ალბათ, ასეთი გადაწყვეტილება იყო მისაღები, რომელიც სასამართლომ დააფიქსირა. სამართალდამცავი სტრუქტურები იმ წუთას მოქმედებდნენ ეფექტურად, რადგან მაინც მოხერხდა ღონისძიების ჩატარება და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. უნდა დავინახოთ განსხვავება მისიერ და უფრო გრძელვადიან გამოწვევებს შორის. იმ წუთის გამოწვევა იყო, რომ ის ადამიანები იმ არეალიდან გარიდებული ყოფილიყვნენ და ეს ასეც მოხდა. რაც შეეხება უფრო გრძელვადიან გამოწვევას, ეს არის განათლება. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს მეტი ინფორმაცია გარკვეულ საკითხებზე, რათა ასეთი ინციდენტები აღარ მოხდეს. ამას ხელი უნდა შეუწყოს სკოლებმა, უნივერსიტეტებმა, NGO-ებმა და მედიას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი როლი, რაც დღეს მხოლოდ ტელევიზიები და გაზეთები არ არის. მე ვიცი, რომ მედიაში საკმაოდ ცოცხალი განხილვები იყო მომხდარის შესახებ მედია ეს არის ბლოგოსფეროც, სოციალური ქსელებიც, განხილვები იყო ფეისბუქზეც. მოგეხსენებათ, რომ სხვადასხვა რელიგიური ინსტიტუციები მომხდარს გაემიჯნენ, არა მხოლოდ ქრისტიანები და მართლმადიდებლები. მნიშვნელოვანი მესიჯი წამოვიდა საპატრიარქოდან, რომელმაც განაცხადა, რომ ემიჯნება თავისუფლების მოედანზე მომხდარ ინციდენტს. თავად იმ ფაქტმა, რომ ეს ინციდენტი მოხდა, ბევრი გააკვირვა - მეც, თქვენც, სხვებიც. საქართველოში ეს საკითხი - არსებობს თუ არა ანტისემიტიზმი - მანამდე საერთოდ არ განიხილებოდა, რადგან მიიჩნეოდა, რომ ეს მოვლენა ქვეყანაში არ არსებობს.

მომხდარმა გვაჩვენა, რომ ამ საკითხის ირგვლივ ბევრი განხილვის მოწყობა შესაძლებელი და კიდევ ბევრია სასაუბრო.

— საპატრიარქოს ამ განცხადებაში ერთგვარი ორპარტიანი მოცემულობა იყო, ერთი მხრივ, საპატრიარქო გაემიჯნა ძალადობას, თუმცა ჩვენ არ გვინახავს საჯაროდ გაკრიტიკებული ის მღვდლები, რომლებიც აქციაში მონაწილეობდნენ. მე ჩემი შეკითხვა სხვანაირად მინდა დავისვით, ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა საქართველოს პრეზიდენტი, ასევე, ჩვენთვის ცნობილია, რომ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე რაბინი ავიში შეხვდა საქართველოს პატრიარქს, ხოლო თქვენ 23 ნოემბერს საპატრიარქოს წარმომადგენლის ორგანიზებით გამართულ ვახშამს ესწრებოდით „რედისონში“. გქონდათ თუ არა წინასწარ საუბარი დღესასწაულის ორგანიზებასთან დაკავშირებით საპატრიარქოს და ხელისუფლების წარმომადგენლებთან და არსებობდა თუ არა ღონისძიების უსაფრთხოდ ჩატარების თვალსაზრისით რაიმე სახის გარანტიები?

— პირველ რიგში, მინდა გითხრა, რომ 2012 წელს, დღესასწაულამდე შეხვედით პატრიარქს და მან გადმოგვცა 9 სანთელი ხანუქასთვის, ეს შანდალი. ხანუკა, მოგეხსენებათ, 8 დღის განმავლობაში მიმდინარეობს და ერთი სანთელი ანთებს სხვა დანარჩენებს და ამიტომ პატრიარქმა ეს 9 სანთელი გადმოგვცა სიმბოლურად. რაც შეეხება მიმდინარე წელს, რაბი ავიშიასთან ერთად მეც ვიმყოფებოდი პატრიარქთან შეხვედრაზე და მან განახილა ეს მესიჯები ორ ქვეყანას შორის მეგობრობის თაობაზე. ვახშამი, რომელიც თქვენ ასხენეთ, არანაირად არ ეხებოდა ამ თემას. ეს იყო მამა გიორგის [ზვიადაძის] დაბადების დღის წვეულება.

— დაბადების დღის წვეულება, თუ გიორგობის დღესასწაული?

— ის დაბადების დღეს აღნიშნავდა. მე იქ დაბატონებული ვიყავი, როგორც დაბადების დღეზე. მაგრამ ამ ვახშამს არაფერი აქვს საერთო ამ თემასთან. განვიხილავდით თუ არა ხანუქის დღესასწაულს მთავრობასთან? — რასაკვირვებია, ჩვენ ამას ვაკეთებდით. პირველი სანთელი პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიამ შეიღო ანთო, სხვათა შორის, ორჯერ — ერთხელ სინაგოგაში და მეორედ — რუსთაველის თეატრში. ბოლო სანთელი გვინდოდა, რომ პრეზიდენტს აენთო, რადგან შარშანაც ასე მოხდა. შარშან პირველი სანთელი პრემიერმა ივანიშვილმა აანთო, ხოლო ბოლო — სააკაშვილმა. ოღონდ სააკაშვილმა ეს გააკეთა თავის რეზიდენციაში და არა - გარეთ. წელს პრეზიდენტი დაეთანხმა სურვილს, რომ ხანუკა თავისუფლების მოედანზე აენთო. ამაში არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, რადგან მსგავსი ღონისძიებები მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა დედაქალაქში ეწყობა, იქნება ეს ბერლინი, მოსკოვი თუ სხვა. ჩვენ კმაყოფილები ვართ საქართველოს წინა და ამჟამინდელი მთავრობების, რომლებიც მხარში გვედგნენ და დღესასწაულში იღებდნენ მონაწილეობას.

— რომ დავაზუსტოთ, ასეთი გარანტიები წინასწარ არსებობდა?

— ვინ მოგვცემდა იმის გარანტიას, რომ 2 ადამიანი არ მოვიდოდა ხანუქის დღესასწაულზე და არ ჩამოხევდა იმ პოსტერებს?! ამის გარანტიას ვერავინ მოგვცემდა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ პრეზიდენტის და მთავრობის მხრიდან იყო სურვილი ამ დღესასწაულში მონაწილეობის. წესრიგის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი, რა თქმა უნდა, სახელმწიფოა, მაგრამ მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სრულად ვენდობი საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს და მთავრობას: პრემიერ-მინისტრს, შს მინისტრს.

— ხანუქის თემა რომ ამოწმდებოდეს...

— მაშინ, მე მსურს, რომ ამ საკითხზე კიდევ ვთქვა რაღაც. მოცემულ მომენტში კიდევ ერთი გამოწვევა არსებობს. თუ რამდენიმე წლის წინ ებრაული თემი საქართველოში 100 ათას ადამიანს ითვლიდა, ახლა მხოლოდ 3-5 ათასია შემორჩენილი. რასაკვირველია, კარგია წარსულის გახსენება, სწორედ ამ თემას ეხება ის გამოწვევა, რომლის მოსაწვევიც ახლა წინ გიდევი, ეს არის ებრაული მემკვიდრეობა საქართველოში, თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომავალზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული. არ არის გამორიცხული, რომ მომავალმა თაობებმა საერთოდ არც კი იცოდნენ, რომ ებრაული თემი საქართველოში ასეთი დიდი იყო. აქედან გამომდინარე, მეგობრობიდან

(დასასრული მე-5 გვერდზე)

ნეთანიაჰუს გარემოცვაში აშშ-ს იმედი აღარ აქვთ და სხვა მოკავშირის ექვემდებარება

— ისრაელი აშშ-ს არ ენდობა, მაგრამ ცხადი ხდება, რომ მხოლოდ ამერიკის იმედზე ვერ ვიქნებით — განაცხადა იტალიაში პრემიერ-მინისტრ ნეთანიაჰუს დელეგაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა ნევერმა. ამავე მაღალჩინოსანის აზრით, ისრაელი აქტიურად ცდილობს ურთიერთობა გააღრმავოს რუსეთთან და ჩინეთთან — ეს ინფორმაცია 3 დეკემბერს გაზეთმა „მარინა“ გამოაქვეყნა. გაზეთი იუწყება, რომ მაღალჩინოსანმა ეს განცხადება გააკეთა ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ეჭუდოლმერტის და ფინანსთა მინისტრის იაირ ლაპიდის პოზიციის გამო. პარტია „ეშ ათიდის“ მეთაურმა ი. ლაპიდმა ამერიკის ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან საუბარში თქვა, რომ ისრაელისა და აშშ-ს წინააღმდეგობები ოჯახურ უთანხმოებას ჩამოჰყავს. „არა-რა საშინელება არ არის ის, რომ დროდადრო ოჯახში თავს იჩინოს უთანხმოება მთავარია, საკითხები ოჯახურ გარემოცვაში გადაწყვეტა“.

ისრაელის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ეჭუდოლმერტმა მკაცრად გააკრიტიკა ნეთანიაჰუს ქმედებანი. ოლმერტის აზრით, ასეთი ქმედებანი გააუარესებენ აშშ-სთან ურთიერთობას. ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტში გამოსვლისას ოლმერტმა აღნიშნა, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნისას იგი თავის თავს არ აძლევდა უფლებას, თავს დასხმოდან აშშ პრეზიდენტს, არც იმის მცდელობა ჰქონია, კონგრესი აემხედრებინა პრეზიდენტის წინააღმდეგ, როგორც ამას აკეთებს ნეთანიაჰუ.

— არასოდეს არ მომსვლია თავში ასეთი რამ: ომი გამოემყვებადებინა ისრაელის მთავარ მოკავშირესთან, ან პრეზიდენტის წინააღმდეგ აემხედრებინა კონგრესი. ამას შესაძლოა, ისრაელისთვის ძალიან მძიმე შედეგი მოჰყვეს — გააფრთხილა ხელისუფლება ოლმერტმა. და დასძინა: აშშ-ს ხელისუფლებასთან უთანხმოებისას ანტიამერიკული მონოდეტებით კი არ გამოვდიოდით, ცვდილობდით მოლაპარაკებებით მიგველო სასურველი შედეგი.

გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები, რომელიც ერთობლივად ჩაატარეს ისრაელის დემოკრატიის ინსტიტუტმა და თელ-ავივის უნივერსიტეტთან არსებულმა ევანსის ინსტიტუტმა. გამოკითხვის შედეგად გამოიჩინა, რომ ისრაელელთა 45% აღარა აქვს აშშ-ს დახმარების იმედი, ამავე დროს ისრაელელთა 70% დარწმუნებულია: ისრაელს ძალიან მცირე შანსი აქვს მონახოს სხვა ძლიერი პარტნიორი.

(დასაწყისი მე-3 გვერდზე)

პარტნიორობაზე უნდა გადავიდეთ. სწორედ ამას ემსახურება ის პროექტები, რომელსაც ვანყობთ ხოლმე, იქნება ეს ბიზნესფორუმი თუ კულტურული ღონისძიებები. ვცდილობთ, რომ თანამშრომლობით მივაღწიოთ პარტნიორობას, რომელიც სამომავლოდ დიდ შედეგებს მოგვითმის ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავების საქმეში.

— თავდაცვის სფეროზეც ვისაუბროთ, 2008 წელს საქართველოსა და ისრაელს შორის სამხედრო სფეროში არსებული მჭიდრო თანამშრომლობა შეწყდა. ხომ არ უკავშირდება ეს პოლიტიკურ კულუარებში მოარულ ხმებს, რომლის მიხედვითაც ისრაელს არ სურს, რომ რუსეთმა ირანს შ-300 ტიპის სარაკეტო კომპლექსები მიჰყიდოს და სწორედ ამის გამო ამბობს უარს საქართველოსთან იარაღით ვაჭრობაზე.

— ეს ჭორები და სპეკულაციები არ არის ინფორმაციის კარგი წყარო. მე გეტყვით ფაქტებით შესახებ. ამ კვირაში თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია ჩამოვიდა ისრაელიდან. მე ვიცი, რომ მას საკმაოდ ხანგრძლივი და პროდუქტიული მოლაპარაკებები და შეხვედრები ჰქონდა ისრაელელ კოლეგებთან. საქართველო არის მნიშვნელოვანი ისრაელისთვის და პირიქით, ტერიტორიული სიახლოვის გამო. ახლო აღმოსავლეთი ახლოსაა სამხრეთ კავკასიასთან. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური დიალოგი ორ ქვეყანას შორის ძალიან მნიშვნელოვანია და ეს დიალოგი მიმდინარეობს, რომლის დროსაც განვიხილავთ ძალიან ბევრ ასპექტს, იქნება ეს სტრატეგიული თუ კონტრტერორიზმის საკითხები. ჩვენ არ გვაქვს არავითარი ტაბუ ამ დიალოგის დროს და შეიძლება ნებისმიერი საკითხი იქნას განხილული. საქართველო დღეს არის ძალიან რელევანტური ისრაელის ეროვნული უსაფრთხოებისთვის და ეს იზომება არა მისი ფართობით ან მშპ-ის მოცულობით, არამედ რელევანტურობით. აქედან გამომდინარე, ვცდილობთ, რომ ყველა ასპექტი იქნას განხილული.

— მიხეილ სააკაშვილმა ამა წლის ზაფხულში პირდაპირ განაცხადა, რომ ისრაელიდან ნაყიდი უპილოტო საფრენი აპარატების სამართავი კოდები რუსეთის ხელში საეჭვო ვითარებაში აღმოჩნდა, რითაც მან ალბათ მიანიშნა, რომ ისრაელმა საიდუმლო ინფორმაცია საქართველოს მონივრულად გადასცა. რა პასუხი აქვს ისრაელს სააკაშვილის ამ მინიშნებაზე? განსაკუთრებით საინტერესო იქნება, რომ ამ კითხვაზე პასუხი მოვისმინოთ თქვენგან, ისრაელელი დიპლომატი-საგან, რომელიც 2008 წელს რუსეთში მუშაობდა ისრაელის დიპლომატიურ უწყებაში

— მნიშვნელობა არ აქვს, მე სად ვმუშაობდი 2008 წელს, რომელ დიპლომატიურ უწყებაში. მე არ ვიცი, რა თქვა ზუსტად სააკაშვილმა და რა კონტექსტში, ამიტომ თავს ვერაფერზე დავდებ. პირადად მასთან ამ საკითხზე არ მისაუბრია. თუმცა მე ვიცი ეს ისტორია. პირველად ეს ისტორია გავრცელდა „ვიკილიქსის“ მეშვეობით. საზგასმით ვაცხადებ, რომ ეს არის ჭორი და ძალიან საეჭვო ინფორმაცია. ამის მიუხედავად, ისრაელმა მაინც გამოიძია ეს საკითხი და ჩაატარა სრული გამოძიება და ჩვენ არაერთხელ მივანოდეთ ოფიციალური პასუხი საქართველოს ოფიციალურ უწყებებს და არა მხოლოდ ოფიციალურ უწყებებს... ეს ჭორი გავრ-

ცვლდა 2012 წლის თებერვალ-მარტში და მარტის ბოლოსვე ჩვენ უკვე მივანოდეთ ეს პასუხი ქართულ მხარეს. ეს იყო ოფიციალური პასუხი, რომლის მიხედვითაც, არაფერი მსგავსი, რაც გავრცელდა „ვიკილიქსმა“, არ დასტურდება ფაქტებით. ვიმეორებ, არაფერი მსგავსი არ დასტურდება.

— თქვენ თანამშრომლობის გაღრმავების მრავალ ასპექტზე ისაუბრეთ და ირაკლი ალასანიას ისრაელში ვიზიტსაც შეეხეთ. მინდა გკითხოთ, შესაძლებელია თუ არა, რომ ისრაელმა ახალი ხელისუფლების პირობებში საქართველოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა აღადგინოს, მათ შორის ვგულმხმარებთ იარაღის მიყიდვის პროცესის განახლებასაც?

— ვწუხვარ, მაგრამ იარაღით ვაჭრობის საკითხებს მედიასთან არ განვიხილავთ.

— სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა ისრაელიდან შემოსული პირდაპირი ინვესტიციების დიდი ოდენობით არასდროს გამოირჩეოდა, თუმცა საქართველოს პრემიერი ამბობს, რომ ბევრ ინვესტიციას ელის კონკრეტულად რომელი სფერო აინტერესებთ ისრაელელ ბიზნესმენებს საქართველოში და სად უნდა ველოდოთ ინვესტირებას?

— როდესაც ამბობთ, რომ არც ისე დიდი ოდენობის პირდაპირი ინვესტიციები შემოდის საქართველოში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისრაელი არ არის დიდი ქვეყანა ისრაელი საქართველოზე სამჯერ პატარა ქვეყანაა. მართალია, მოსახლეობით ორჯერ დიდია და მშპ-იც საკმაოდ დიდი აქვს საქართველოსთან შედარებით, მაგრამ მაინც პატარა ქვეყანაა. მე ყურადღებას გავამახვილებდი 2012-2013 წლების მონაცემებზე, როდესაც ორმხრივი ვაჭრობის მონაცემი 82 მილიონი აშშ დოლარიდან 129 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, რადგან ერთ წელიწადში 50 მილიონი ზრდა ფიქსირდება. ინვესტიციები, როგორც წესი, მოდის ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, რადგან ადამიანები იჯერებენ, რომ აქ არის კარგი გარემო და პროდუქციის გაყიდვით მოგებას ნახავენ. თუ ასეთი კარგი გარემო იქნება შექმნილი საქართველოში, ნამდვილად უფრო მეტი ინვესტორი შემოვა. ყოველდღიურად ვიღებ ელექტრონულ წერილებს თუ სატელეფონო ზარებს ისრაელური კომპანიებისაგან, რომელთაც უნდათ, რომ საქართველოში ინვესტიციები ჩადონ სხვადასხვა სფეროში, იქნება ეს სადგურების მშენებლობა, სამშენებლო მასალების ბიზნესი და ასე შემდეგ. ორმაბათს დამიკავშირდა ერთი ისრაელური კომპანია, რომელსაც ღვინის სახლები აინტერესებს, მანამდე მივიღე იმეილი კომპანიისაგან, რომელსაც სამშენებლო მასალები აინტერესებს და ინვესტირება სურს. ეს პროცესი ვითარდება.

— საბოლოო ჯამში, ბიზნესი ბიზნესს უნდა შეხედეს. მათ ერთმანეთში უნდა მოილაპარაკონ, დარწმუნდნენ, რომ ორივე მხარისათვის მომგებიან საქმეზეა ლაპარაკი, რათა რეალური ინვესტიციები განხორციელდეს. რა შეუძლიათ მთავრობებს ამასთან დაკავშირებით? მას შეუძლია შექმნას ერთგვარი პლატფორმა განვითარებისა და ბიზნესის ბიზნესთან შეხვედრის თვალსაზრისით. ასეთი პლატფორმა ჩვენ უკვე ორჯერ შევქმენით ამ წელს, ერთხელ საქართველოში და ერთხელ ისრაელში, სადაც ბიზნესფორუმები ჩატარდა. 2014 წელსაც

შიმონ პერესის გეგმები

მიუხედავად გავრცელებული ხმებისა, შიმონ პერესი არ აპირებს კვლავ იყაროს კენჭი ისრაელის პრეზიდენტის პოსტზე.



— მე ივლისში ვამთავრებ ჩემს საპრეზიდენტო კადენციას, წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ქნესეთში გაიტანონ კანონ-პროექტი, რომელიც უფლებას მომცემს კენჭი ვიყარო და კიდევ ერთხელ გავხდე პრეზიდენტი. ყველას ვთხოვ, თავი შეიკავონ ამგვარი კანონის დამტკიცებისაგან.

შიმონ პერესმა ისიც დასძინა: თუ ასეთ კანონს მიიღებენ, მე მით არ ვისარგებლებ და პრეზიდენტობაზე კენჭს არ ვიყრი.

თუმცა, პრეზიდენტობის შემდეგ, პერესი სულაც არ აპირებს კერძო პირი გახდეს — მის გარემოცვაში არ გამოიცხადებენ, რომ მან კენჭი იყაროს 20-ე მონვევის ქნესეთში. სამისოდ პარტიასაც კი შექმნის, მასთან დაახლოებული პირები იმაზეც საუბრობენ, რომ პერესი ყოველ ძალას იხმარს, რათა წინ წასწიოს პალესტინელებთან მოლაპარაკების პროცესი.

ასე რომ, 90 წელს გადაცილებული პერესი არ აპირებს ზღვის სანაპიროზე ძალი ასეირნოს.

გვაქვს ანალოგიური გეგმები. ასევე, მთავრობას შეუძლია დაეხმაროს ეკონომიკის განვითარებას ტრენინგებით, რასაც ჩვენ ვახორციელებთ. გარდა ამისა, შესაძლებელია ისეთი პლატფორმების შექმნა, სადაც მთავრობა შეხვედება მთავრობას. იანფვის ბოლოს გვექნება ერთობლივი ეკონომიკური კომისიის სხდომა იერუსალიმში, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან საგარეო საქმეთა მინისტრები და ეს იქნება კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პლატფორმა იმისათვის, რომ განვითარდეს შესაძლო ინვესტირების სხვადასხვა სფერო: სოფლის მეურნეობა, ჰაიტექი, ტურიზმი და ბევრი სხვა სფერო, რომლის განვითარებაც ხელს შეუწყობს ეს კომისია თანამშრომლობის ფარგლებში.

— ბოლოს მინდა გკითხოთ 2012 წლის თებერვალში საქართველოში, ისრაელის საელჩოსთან ტერაქტის მცდელობასთან დაკავშირებით, რომელშიც ოფიციალურმა იერუსალიმმა ღიად დაადანაშაულა ირანი. მაშინ შოთა უტიამაშვილმა, შსს-ს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ტერაქტის მცდელობის უკან აშკარად იკვეთება უცხოური კვალი“, ამის შემდეგ ქართულ საგამოძიებო სამსახურებს ამ საკითხზე აღარაფერი უთქვამთ. თქვენთვის ხომ არ არის ცნობილი რაიმე ამ გამოძიებასთან დაკავშირებით, რადგან, როგორც მაშინ ითქვა, საგამოძიებო პროცესში საერთაშორისო ექსპერტებიც იყვნენ ჩართულნი?

— მე ვფიქრობ, რომ ოფიციალური იერუსალიმი მართალი იყო.

— უფრო კონკრეტულად?

— ჩვენ გვაქვს ინტენსიური დიალოგი საქართველოსთან იმდენად, რამდენადაც კონტრტერორიზმი არის ორივე ქვეყნის საერთო ინტერესი. მნიშვნელობა არ აქვს, ვისი მანქანა აფეთქდება ტერაქტის შედეგად, იქნება ეს ჩემი, თქვენი თუ სხვისი და ეს მოხდება თბილისში, ბათუმსა თუ სხვა ქალაქში ეს არის შეტევა საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ. ტერორიზმს არ აქვს საზღვრები, ამიტომ მსოფლიო თანამეგობრობა უნდა დაუპირისპირდეს მას, იქნება ეს კენიაში, ავღანეთსა თუ სხვა ნებისმიერ ქვეყანაში. საქართველოს მთავრობასთან ისრაელს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით.

— გამოძიების შედეგებზე გკითხეთ მე...

— სამწუხაროდ, არაფრის დამატება არ შემიძლია.

— რადგან ირანის თემას შეეხეთ, იყო თუ არა ისრაელის მხრიდან საქართველოსთან საეიზო რეჟიმის გაუქმების წინაპირობა ის, რომ თბილისს ირანთან უნდა გაეუქმებინა ანალოგიური უვიზო რეჟიმი?

— თუ სურვილი გექნებათ, შეგვიძლია ირანზე შემდეგ ინტერვიუში ვისაუბროთ, ნებისმიერ დროს. მაგრამ მოცემული საკითხი, საეიზო რეჟიმის გაუქმება არანაირ კავშირში არ არის ირანთან. ირანთან უვიზო რეჟიმის გაუქმება მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია და ჩვენ ამასთან კავშირი არ გვაქვს. ჩვენ საქართველოსთან ურთიერთობას ვაფასებთ იმდენად, რამდენადაც საქართველო არის უაღრესად მნიშვნელოვანი ქვეყანა ისრაელისთვის. რაც შეეხება საქართველოს ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან, ეს მისი გადასაწყვეტია.

დათო ქოქოშვილი. „ნეტ გაზეთი“. 2013.12.16

გვანამატი, ისრაელი!

4 დეკემბერს ნორვეგიის რელიგიურ ლიდერთა ოცნე მტკმა წარმოადგენელმა ისრაელის ბარლამენტის (ქნესეთის) სპიკერის მოადგილეს გილ გამლიელს წარუდგინა დეკლარაცია „გვანამატი, ისრაელი“

გილ გამლიელსავე გადაეცა ამ დეკლარაციის 120 ასლი ქნესეთის უფველი წევრისათვის.

ეს დეკლარაცია ბატარა შესავალი წერილით გამოაქვეყნა საერთაშორისო ქრისტიანული სიონისტური ცენტრის დირექტორმა იან ვილემ ვან დერ სოვენმა, რომელიც ასე დაასათაურა: „ვინ იქნება შემდეგი?“

ვან დერ სოვენი წერს: გუშინ საღამოს წილად მხვდა ბატონი ამ ჯგუფისათვის სიტყვით მიმემართა. ამ შესუბრაზე მე ვგრძობდი უფლის ამაღლებულ და წმინდა სუფევას. ვლოცულობ იმისათვის, რომ ამ ჯგუფის წევრთა თვინიერი სიტყვები და ვაკეატური ნაბიჯი სამაგალითო განდეს ევლანსთვის, ვისაც ისრაელი უყვარს.

ჩვენ გამოვიდეთ, როგორც ნორვეგიის ქრისტიანი ლიდერები.
ჩვენ ვლანარაკობთ, როგორც ნორვეგიის ეკლესიათა, თემთა, მისიათა, რელიგიური ტელევიზიებისა და გაზეთების წარმომადგენლები.
ჩვენ წარმოადგენთ ნორვეგიის სხვადასხვა რეგიონებს: ჩრდილოეთს, სამხრეთს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს.
ჩვენ წარმოადგენთ ნორვეგიის ორ ძირეულ ეთნიკურ ჯგუფს.
როგორც ნორვეგიის ქრისტიანი ლიდერები, ჩვენ ვითხოვთ ბატონებს და გთხოვთ შეგვიდროთ როგორც საეკლესიო თემებში, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენებში ისრაელისადმი დამოკიდებულების გამო.
როგორც ნორვეგიელი ხალხის და ეკლესიის ლიდერები, ვინანიებთ და ვაცხადებთ: ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა წავიყვანოთ ცვლილებებისაკენ.
ღვთისადმი მადლიერებით გამსჭვალულთ, გვსურს ნორვეგიაში ვინილოთ ცვლილებები.

ისრაელი, გვანამატი, როგორც ქვეყანას:

- * ოსლოს შეთანხმება, რომელმაც ისრაელი ორად გაშალა.
- * ნორვეგიიდან ღანას სექტორში იმ ფინანსების გამოგზავნა, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციებს ხმარდებოდა.
- * ის, რომ ჩვენი საელჩო, თელ-ავივიდან არ გადავიტანეთ ისრაელის მარადიულ და განუყოფელ დედაქალაქში—იერუსალიმში.
- * ის, რომ მტრობის სულიკვეთების გამოდგომების წლებში, არ ვიცავდით ისრაელს.
- * ნორვეგიელი პოლიტიკოსებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ანტისემიტური და ანტისიონისტური დამოკიდებულება.

ისრაელი, გვანამატი, როგორც ეკლესიას:

- * ის, რომ არ დავიკავებთ უფრო მკვეთრი პოზიცია, რათა შეგვეჩერებინა ნორვეგიის ანტისემიტური პოლიტიკა,
- * ის, რომ ნორვეგიის ეკლესიის მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფდა ისრაელის ღვთიურ როლს.
- * ჩვენი გულგრილობა, როცა შენ გდევნიდნენ,
- * ჩვენი გულგრილობა შენადმი, როგორც ღვთივ რჩეული ერისადმი,
- * საეკლესიო ლიდერების ანტისემიტური და ანტისიონისტური განცხადებები,
- * ჩვენი შიში გამოვსულიყავით ამ განცხადებების წინააღმდეგ.

* ჩვენ, როგორც ქვეყანა, მოწოდებული ვართ ვიყოთ ისრაელის ევლანზე ერთ-გული მოკავშირენი, ჩვენ გვჯერა, ვილოცებთ და ვიმედდებით იმისათვის, რომ ნორვეგიის ევლა მომდევნო თაობა, განდეს ისრაელის ძლიერი მეგობარი.

* გვსურს ვადიაროთ, რომ ისრაელი არის ეკლესიის სულიერი დედა, მან მოგვცა წმინდა წიგნები, წინასწარმეტყველნი, მოციქულები, მესიაც კი, რომელმაც ისხნა კაცობრიობა, მოგვცა ისრაელმა.

* დმერთმა დაადანტურა ისრაელისადმი თავისი დანაპირები. ჩვენ გვჯერა, რომ დმერთი აღასრულებს იმას, რაც ისრაელს და ქრისტიანულ ეკლესიას აღუქვა.

* ჩვენი ქვეყნის კულტურა და ტრადიციები ძირითადად ებრაული ფესვების - იუდეო-ქრისტიანულ ფასეულობებსა და ფუძნებული.

გვანამატი:

* ის რომ ისრაელის მეგობრებმა და ეკლესიამ აქამდე ვერ ავიმადლეთ ხმა ისრაელის დასაცავად, რათა ეს ხმა მთელ ქვეყანას გაეგონა.

გვანამატი ჩვენ, როგორც ქვეყანას:

- * ის ხმამაღალი განცხადებები, რომლებიც მოითხოვდნენ ისრაელის ბოიკოტს ევლა სფეროში—ვაჭრობაშიც კი.
- * ნორვეგიის სახელმწიფოს სახელით გაწეული ფინანსური ძალისხმევა, რომელიც ტერორისტთა მხარდასაჭერად გამოიყენებოდა.
- * პოლიტიკურ ლიდერთა ისრაელის საწინააღმდეგო გამონათქვამები და ჩვენი პასიურობა, როცა ჩვენ მათ წინააღმდეგ არ გამოვიდოდით.

* ნორვეგიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში — რადიოში, ტელევიზიაში, პრესაში, ინტერნეტში გავრცელებული ანტისემიტური პუბლიკაციები.

* ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც 1851 წლამდე ებრაელობას უშლიდა ნორვეგიის სახელმწიფოში შემოსვლას.

* მეორე მსოფლიო ომის წლებში ნორვეგიიდან ებრაელთა ნაციონალისტურ სიკვდილის ბანაკებში გაგზავნა.

* მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ებრაელებს ნორვეგიაში შემოსვლას უარი რომ ვუთხარით.

* ისრაელისადმი კრედიტების გაცემაზე უარისთქმა,

* ისრაელისადმი გამოვლენილი უმადურობა.

* კაცობრიობის წინსვლაში შეტანილი მისი დიდი ღვაწლის იგნორირება. ისრაელის ძალისხმევის გარეშე ჩვენი საავადმყოფოები ისე ვერ იმუშავებდნენ, როგორც დღეს მუშაობენ.

* ის, რომ კავშირს ვამყარებდით ძალებთან, რომლებიც ისრაელის სახელმწიფოს მოსაზობას ესწრაფოდნენ. ჩვენ, სულიერ ლიდერებს, გვწადია, ეს კავშირი დავარღვიოთ.

* ოსლოს შეთანხმება, რომელიც მიმართული იყო სახელმწიფოს განსწავლვისაკენ. ამ შეთანხმებამ განაპირობა ის, რომ ნორვეგიის სახელმწიფოდან დიდძალი თანხები მიედინებოდა პალესტინის ტერორისტული დაჯგუფებებისაკენ.

* ისტორიული ფაქტების ამკარა ფაქტისფიცირება. ისრაელისადმი ცილისწამება.

ვადიარებთ, რომ

- * ისრაელი არის დიადი ღვთიური კურთხევა სამყაროსადმი.
- * ღვთიური გამოცხადება მოვიდა ისრაელით/ისრაელიდან.
- * მესია — ჩვენი მხსნელი — შობილი იქნა ებრაელის მიერ, ისრაელში.
- * ნორვეგიის მასიური ინფორმაციის საშუალებები, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტზე წლების განმავლობაში ავრცელებდნენ არასწორ, დაუბალანსებელ ამკარად ისრაელის წინააღმდეგ მიმართულ ინფორმაციას.
- * ნორვეგიის პრესაში ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტზე გამართული დებატებისას ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია გვთხოვდა, მიგველო ზომები, რათა შეწყვეტილიყო ისრაელის დემონიზაციის პროცესი.
- * ისრაელი დღესაც კურთხევაა მთელი ქვეყნიერებისთვის, ეს არის სულიერი კურთხევა, ასევე საფინანსო, კულტურის, ტექნოლოგიის და სხვა სფეროებში.

როგორც ნორვეგიის სხვადასხვა ეკლესიათა ლიდერებს, ჩვენ ასევე გვსურს განვაცხადოთ:

- * ნორვეგია, როგორც ქვეყანა, მოწოდებულია კურთხეულჭეოს ისრაელი.
- * ნორვეგია, როგორც ქვეყანა, მოწოდებულია დაეხმაროს ისრაელს თაღისი სასღვრების დაცვაში
- * ნორვეგია, როგორც ქვეყანა, ადიარებს ებრაელების უფლებას ერეც ისრაელზე.
- * ნორვეგია, როგორც ქვეყანა, მოწოდებულია იყოს ისრაელის ევლანზე დიდ მოკავშირეთა შორის.
- * ჩვენ გვწამს, ვილოცებთ და ძალღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ ნორვეგია განდეს ისრაელის ძლიერი მეგობარი და მხარდამჭერი. და ეს სულიკვეთება გადაეცეს თაობიდან თაობას.
- * ისე როგორც ჰენრიკ ვერველანდს, ტრივი ლის, კარე კრისტიანსენს და ჩვენი ქვეყნის სხვა მამებს, გვინდა ნორვეგია და მისი ხალხი, ვინილოთ ისრაელისა და ებრაელი ერის მადიდებელი.

მაკურთხებელი ისრაელისა იქნება კურთხეული, მაწეგარი ისრაელისა იქნება წეეული!

ჩვენ მთელი გულით ვლოცულობთ: „დმერთო, აკურთხე ისრაელი!“

ახლო აღმოსავლეთი, კოლიტიკური გამოწვევები, პრიორიტეტები და პარსპექტივები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისრაელის ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „ახლო აღმოსავლეთი, პოლიტიკური გამოწვევები, პრიორიტეტები და პერსპექტივები“.

ისრაელის ელჩს და აღნიშნა, რომ „თსუ-ში ტრადიციულად ჩამოყალიბდა საქართველოში აკრედიტებული ელჩების ვიზიტი, რომლის დროსაც ისინი წარმოდგენენ საკუთარ ქვეყანას, შეხედულებებს მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე. ისრაელის ელჩის საჯარო ლექცია ძალიან საინტერესო იყო, რადგან მან მიმოიხილა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაცია, ყურადღება გაამახვილა პრობლემურ საკითხებზე, ისაუბრა საქართველო-ისრაელის ურთიერთობებზე.“

„ისრაელი და, საერთოდ, ახლო აღმოსავლეთი რამდენიმე ასპექტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი რეგიონია მსოფლიოსთვის, მათ შორის, საქართველოსთვის. რეგიონში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებები დიდ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ვითარებაზე,“ - აღნიშნა ისრაელის ელჩმა იუვალ ფუქსმა.

საჯარო ლექციის დასრულების შემდეგ ისრაელის ელჩმა სტუდენტთა და აკადემიური წრეების წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხა.

ლონისძიების შემდეგ თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ და ისრაელის ელჩმა იუვალ ფუქსმა თსუ მუზეუმის საგამოფენო დარბაზში განთავსებული ებრაელი მხატვრის შაი გინოთის ფოტოგამოფენა „დასაწყისიდან“ დაათვალიერეს. ექსპოზიციამ წარმოდგინა ფოტოების უმრავლესობა ფოტოგრაფირების საინტერესო ხერხით - ორმაგი ექსპოზიციითაა შესრულებული.

„ანა ფრანკის დღიური“



ეს ამალელებელი ნაწარმოები უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია იპყრობს მსოფლიოს თეატრალურ მოღვაწეთა ყურადღებას - მას დგამენ სხვადასხვა თაობის რეჟისორები, ასეთი ინტერესი განპირობებულია იმით, რომ ნაწარმოებში უბრალოდ, გულწრფელად არის ასახული ერთი ებრაული ოჯახისა და მისი მეგობრების ტრაგიკული ბედი, მეორე მსოფლიო ომის წლებში. ხანუქის მომდევნო დღეს ეს ნაწარმოები კიდევ ერთხელ განხორციელდა თბილისში. ჯონისტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელის ელენე ბერკოვიჩის ინიციატივით „ანა ფრანკის დღიური“ ახალგაზრდა რეჟისორმა ირაკლი გოგია დადგა. სპექტაკლის დაწყების წინ ელ. ბერკოვიჩმა სანთლის სიმბოლური ანთების ცერემონიაზე მიიწვია თბილისის ებრაელობის ზოგიერთი წარმომადგენელი, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი, ევროკავშირის წარმომადგენელი ფილიპ დიმიტროვი და სხვ.

სპექტაკლში, რომლის დადგმა დააფინანსა ევრაზიის ებრაელთა კონგრესმა. მონაწილეობდნენ სტუდენტები, ახალგაზრდა მსახიობები.

ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა

18 დეკემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შვეარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი გამოფენა და კატალოგის „ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა“ პრეზენტაცია.

მულტიკულტურულ საქართველოში ებრაული დიასპორა ერთ-ერთი უძველესთაგანია. ჩვენი ქვეყანა ის იშვიათი გამონაკლისია, სადაც ებრაელებს ისტორიულად არამცთუ დევნიდნენ, არამედ მათ მიმართ ყოველთვის კეთილ და მეგობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. მეტად მნიშვნელოვანია ამ ტრადიციის გაგრძელება მომავალ თაობაშიც.

აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი გახლავთ ებრაული კულტურის ამსახველი უნიკალური ექსპონატები, რომლებიც გასულ საუკუნეში თბილისში არსებულ ებრაულ მუზეუმში იყო გამოფენილი. მუზეუმის დახურვის შემდგომ კოლექციები სხვადასხვა მუზეუმებში გადანაწილდა, მათ შორის საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმსა და იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში.

გამოფენაზე წარმოდგენილია ებრაული კოლექციის 200 ექსპონატი, რომელთა დიდ ნაწილს დამთვალიერებელი პირველად ეცნობა. აგრეთვე მოეწყო კატალოგის „ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა“ პრეზენტაცია, რომელიც ებრაულ კოლექციებთან ერთად ბოლოდროინდელ სამეცნიერო კვლევების შედეგებსაც მოიცავს.

გამოფენა იმით გახლავთ საინტერესო, რომ ძალიან კარგად არის წარმოდგენილი შალომ კობოშვილის ფერწერა, ხოლო დ. გველესიანის „შალომ კობოშვილის პორტრეტი“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ქართველ და ებრაელ ხელოვანთა მეგობრობაში. ეს პორტრეტი დ. გველესიანის შემოქმედებაში მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა.

და კვლავ შალომ კობოშვილი! ეს გამოფენა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ შ. კობოშვილის სახით ქართველ ებრაელობას დიდი ხელოვანი ჰყავს. გვეჯერა, მისი მემკვიდრეობა მომავალში დიდ სამსახურს გაუწევს მშობლიურ ერს.

გამოფენის გახსნასთან ერთად მოეწყო ამ ღონისძიებისათვის გამოცემული ბუკლეტის პრეზენტაცია, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ. სიტყვები წარმოსთქვენს: ისრაელის ელჩმა იუვალ ფუქსმა, კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინე მიზანდარმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა ლელა წინუაშვილმა, რომელმაც ამაგი დასდო შ. კობოშვილის პროფესიული პოპულარიზაციის საქმეს, გ. ლამბაშიძემ და ჯ. ხუხაშვილმა, რომელიც გამომსვლელები რომ სიტყვას ამბობდნენ, ისე შესძახებდა „ტაში უნდა ამას, ტაში!“, თითქოს ეს ჩინებული სპეციალისტები დაირაზე ცეკვავენ და დამთვალიერებელთა შორის გამეფებული სიჩუმე—ყურადღებებიანობა, ხელს უშლიდათ სიტყვის წარმოთქმაში. ხუხაშვილმა ამ გამოფენის გაგებისათვის კიდევ ერთი „ფრიად მნიშვნელოვანი“ ინფორმაცია მიაწოდა შეკრებილთ: წინუაშვილისა და დავარაშვილის დაჟი კალათბურთს თამაშობს და ვარსკვლავი გახდება. ეს ინფორმაცია, რასაკვირველია, შეკრებილთ ძალიან დაეხმარა უკეთ გაეცნო ხელოვნების ჩინებული ნიმუშები.

პროექტის მხარდამჭერები არიან ისრაელის საელჩო საქართველოში და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი გამოფენა ეროვნულ გალერეაში 2014 წლის 19 იანვრამდე გაგრძელდება.

ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 65 წლისთავს მიეძღვნა

ისრაელის საელჩომ საქართველოში სახელმწიფოებრიობის აღდგენის 65-ე წლისთავთან დაკავშირებით მთელი რიგი ღონისძიებებისა ჩაატარა. ეს ღონისძიებები ემსახურება ერთ დიდებულ მიზანს—ქართველმა მაყურებელმა კარგად გაიცნოს თანამედროვე ისრაელის კულტურა. ეს კი აუცილებელია, რადგან ქართველი მაყურებელი ასე თუ ისე იცნობს ისრაელის ქართველ ებრაელთა შემოქმედებას და ნაკლებად არის ჩახედული ისრაელში მიმდინარე შემოქმედებით პროცესებში.

სწორედ ამ მიზნით იქნა წამოწყებული მუსიკალური საღამოები. 30 ნოემბერს ჯანსუღ კახიძის მუსიკალურ ცენტრში გაიმართა „იერუსალიმის მუსიკალური საღამოები თბილისში“-ს მორიგი საღამო რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩმა საქართველოში იუვალ ფუქსმა. მან დაწვრილებით ისაუბრა საქართველოსა და ისრაელის მეგობრულ ურთიერთობაზე, ისრაელის მუსიკალურ კულტურაზე და მსმენელთა წარუდგინა ისრაელიდან ჩამოსული შემსრულებლები: ალექსანდრე ფარსადანოვი, გულნარა ჰექტი, ვაჰა პაპიანი, არიე ბარ დრომა.

ჯანსუღ კახიძის მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელმა ვახტანგ კახიძემ ისაუბრა ისრაელისა და საქართველოს მუსიკალურ ურთიერთობაზე და მისაღმა ისრაელის მუსიკალური კულტურის წარმომადგენლებს.

საღამოზე შესრულებული იქნა ფრედერიკ შოპენის, სერგეი პროკოფიევის, და სხვ ნაწარმოებები.

„კლაიმანის ბრენდი“ საქართველოში

ისინი – სახელგანთქმული საბავშვო ანსამბლი „მზიური“ და ისრაელის ასევე ბავშვთა ცნობილი ანსამბლი „კლაიმანის ბრენდი“ ბულგარეთში შეხვდნენ ერთმანეთს. მოზარდები უმაღლეს დამეგობრდნენ. მოზარდთა ამ დამეგობრებას შესანიშნავი გაგრძელება მისცა ისრაელის ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის ცენტრმა, რომელსაც ჩვენი ყოფილი თანამემამულე ელიონ ვილენჩიკი ხელმძღვანელობს.

ელიონ ვილენჩიკი „პერესტროიკისა“ და შემდეგ დროინდელ საქართველოში ებრაული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. იგი ცხინვალში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. 90-იან წლებში ისრაელს გადავიდა.

„კლაიმანის ბრენდი“ სწორედ მან ჩამოიყვანა საქართველოში. ბავშვები არა სასტუმროში, არამედ ებრაელთა და ქართველთა ოჯახებში ცხოვრობდნენ. დამეგობრება ასე უფრო იოლია.

„კლაიმანის ბრენდი“ ერთი კვირა იმყოფებოდა თბილისში და რამდენიმე კონცერტი გამართა. ერთი ამათგანი თბილისის ებრაულ სახლში, მაგრამ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში გამართული კონცერტი, მთავარი გახლდათ – აქ ორი საბავშვო კოლექტივი – ქართველი და ისრაელელი ბავშვები – წარმოუდგენდნენ თავიანთ ხელოვნებას მაყურებელს.

უნდა აღინიშნოს „კლაიმანის ბრენდის“ მოზარდთა ჩინებული პროფესიული დონე. მათ დაიპყრეს მსმენელთა გულები.

დაგფუქსეპელი და გამოცემეპელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557 9771987898003